

შპს „საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის“  
დამხმარე სტრუქტურული ერთეულის – საინფორმაციო  
ტექნოლოგიების სამსახურის

## დებულება

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. შპს „საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის“ (ტექსტში შემდგომ – „სასწავლო უნივერსიტეტი“ ან „დაწესებულება“) საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური (ტექსტში შემდგომ – „სამსახური“) წარმოადგენს დაწესებულების დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.
2. სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით, სასწავლო უნივერსიტეტის წესდებით, წინამდებარე დებულებითა და სასწავლო უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით.
3. სამსახური თავისი უფლებამოსილებისა და საქმიანობის ფარგლებში ანგარიშვალდებულია სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის წინაშე.

### მუხლი 2. სამსახურის საქმიანობის სფერო, ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

1. სასწავლო უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის ფუნქციაა შესაბამისი ინფრასტრუქტურის დაგეგმვა, ექსპლუატაციისთვის მომზადება და გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რაც მოიცავს აპარატურულ უზრუნველყოფას (სერვერული, ქსელური აპარატურა), პროგრამულ უზრუნველყოფას და შესაბამის სერვისებს.
2. სამსახურის ერთ-ერთი ამოცანაა სასწავლო პროცესის, კვლევითი საქმიანობისა და სასწავლო უნივერსიტეტის მართვის მხარდაჭერა, რაც მოიცავს ჩამოთვლილი კომპონენტების ნებისმიერ ასპექტს, რომლის რეალიზაციისთვისაც საინფორმაციო ტექნოლოგიები ძირითად ფაქტორს წარმოადგენს.
3. სამსახურის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა ასევე სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საინფორმაციო ტექნოლოგიური მხარდაჭერა, რაც მოიცავს სპეციალური საბიბლიოთეკო საინფორმაციო სისტემების მხარდაჭერას აპარატურის პროგრამული უზრუნველყოფის და საინფორმაციო ტექნოლოგიების სერვერების მიმართულებით.
4. სამსახური უზრუნველყოფს სამსახურის ბიუჯეტის ფორმირებაში მონაწილეობას, საინფორმაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებული შესყიდვების პროცესის მხარდაჭერას, რაც გულისხმობს მოთხოვნების და სპეციფიკაციების ჩამოყალიბებას, შეძენის ვადების განსაზღვრას და შეძენილი აპარატურის ექსპერტიზას.
5. სამსახური ასევე მონაწილეობს საინფორმაციო ტექნოლოგიების პოლიტიკისა და განვითარების სტრატეგიის ფორმირებაში სასწავლო უნივერსიტეტის მასშტაბით, რაც გულისხმობს საინფორმაციო ტექნოლოგიების როლის განსაზღვრას სასწავლო

უნივერსიტეტის საქმიანობის ერთიან ჩარჩოში და მისი შესაბამისობის უზრუნველყოფას ინფორმაციულ ტექნოლოგიის მუდმივ ცვლილებებთან.

6. საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის ფუნქციებია ასევე:

- ა) კომპიუტერული ლაბორატორიის პროგრამული უზრუნველყოფა და ხელმძღვანელობა;
- ბ) აუდიტორიების გამართულად მუშაობის უზრუნველყოფა;
- გ) უნივერსიტეტის შიდა სასწავლო პლატფორმების გამართულად მუშაობის უზრუნველყოფა;
- გ) სამეთვალყურეო კამერების, ინტერნეტ ქსელის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა.

### **მუხლი 3. დასკვნითი დებულებები**

დებულების გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.